№ 123

პარასკევი, 12 ივნისი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 123

პარასკევი, 12 ივნისი, 1898

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი

## ლექსები

**თხზულ. განდეგილისა,** ავტორის სურათით. ფასი ათი შაური (გაგზავნით თერთმეტი შაური). ვინც ათ ცალს დაიბარებს, წიგნი ცხრა შაურად დაეთმობა, ოცდა ხუთ ცალზედ მეტი—ორ აბაზად. (5—5)

იბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასასყიდად ახალი წიგნი:

## თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი.

წერილი პირველი

**მეგახლავარ**ისა.

წიგნი ეღირება 20 კაპ. წიგნების მაღაზიის პატრონებს ვთხოვთ, ეხლავე შეგვატყობინონ, რამდენის ცალის დაბარება ჰსურთ. ნაღდ ფულად წიგნი დაეთმობათ 12 კაპეიკად, კომისიით დაეთმობათ 20%. წინადვე დაბარება იმისთვის იქნება საჭირო, რომ ავტორი 20 თიბათვეს ტფილისიდგან გავა სოფლად.

ადრესი: „ივერიის" რედაქცია. გარდაეცეს ბ-ნს მეგახლავარს. (10—უ.—7)

**უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ პარასკევს, 12 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზედ, მთავარ-მართებლის სასახლეში გამართულ იქმნება ხსენებულ სამზრუნველოს წევრთა

## საერთო კრება.

კრებამ უნდა განიხილოს 1897 წლის ანგარიში, აარჩიოს საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრები და განიხილოს სხვა საქმეები. (3—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. ბურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (ზ)

## ვკისრულობ

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**პლანების აღებას და ნიველიროვკას.**

**ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

**ტელეფონი** № 567.

(50—80—33).

**მთავრობის განკარგულებანი**

ებოძა სამსახურის წელთა შესრულების გამო გუბერნსკი სეკრეტრობა—სააქციზო გარდასახადთა გამგეობის კანცელარიის მოხელეს თავად თუმანიშვილს.

## ახალი ამბავი

⁂ წრეულ ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ მოწაფეთა შორის სწავლა უნდა დაემთავრებინა სულ 9 კაცს, მაგრამ ავადმყოფობის გამო ორმა სახელმწიფო ეგზამენი შემდეგის წლისათვის გადასდო, დანარჩენმა 7 კაცმა-კი უკვე მიიღო დიპლომი. ამათგან 4 პირველის ხარისხის ღირსად იქმნა ცნობილი, ხოლო ზ. დ. ავალიშვილი უნივერსიტეტში იქმნა დატოვებული, როგორც ღირსეული, რომ შემდეგ კათედრა დაიჭიროს. ავალიშვილმა სასჯულო მეცნიერებათა ფაკულტეტი შეასრულა.

არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ზემოდ აღნიშნულ ფაკულტეტზედ 425 კაციდგან, რომელნიც დიპლომის მისაღებად ეგზამენს იჭერდნენ, ამ უკანასკნელის ღირსად მხოლოდ ნახევარზედ ცოტა მეტი იქმნა ცნობილი, ე. ი. 293 კაცი და ამათგან პირველის ხარისხის დიპლომი მიიღო 93 კაცმა, მესამედზე ნაკლებმა; ქართველთაგან-კი სულ 7 კაცი იჭერდა ეგზამენს, შვიდივე დიპლომის ღირსად იქმნა ცნობილი და ამათგან ნახევარზედ მეტმა, ე. ი. 4 კაცმა პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო. სულითა და გულით ვუსურვებთ ჩვენს ახალგაზდობას ასეთს გამარჯვებას შემდგომშიაც.

⁂ ამ წელს ტფილისის ალექსანდრეს სამოსწავლო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა სულ 12 ყმაწვილმა კაცმა. მათ შორის ქართველი მხოლოდ ერთია—თედო ანთელიძე.

⁂ ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში წელს სწავლა სულ 33 ქალმა დაამთავრა. ქართველი ორია: ან. ყიფიანისა და თამ. მაყაშვილისა. ამ უკანასკნელმა ოქროს მედალი მიიღო საჩუქრად.

⁂ 10 ივნისს მოწმობები დაურიგეს იმ ქალებს, რომელთაც დედათა პირველი გიმნაზიის 7 კლასი გაათავეს. 59 ქალმა მიიღო მოწმობა. ქართველი მათ შორის ორია—ანნა ოქრომჭედლიშვილისა და ელ. ჯიჯავაძისა.

ამავე გიმნაზიის მეცხრე საპედაგოგიო კლასი გაათავა წელს 55 ქალმა. მათ შორის შემდეგმა ქართველმა: სოფიო ყიფიანისამ, ლიდია ნატროშვილისამ, ნინო რუსიშვილისამ, მარიამ იმნაძისამ, თამარ ფალავანდიშვილისამ და ანნა ჩერქეზიშვილისამ.

⁂ 1898 წლის თიბათვის 11 ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში დანიშნული იყო გასასყიდად სულ 182 მამული, ხოლო რადგან ვაჭრობის დღემდე შემოტანილ იქმნა კუთვნილი გარდასახადი, ამის გამო ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ ცხრა მამული და ცხრავე სრულიად გაიყიდა უფრო მეტად, ვიდრე ბანკის ვალი იყო. ასე, რომ ბანკის ვალი იყო გაყიდულ მამულებზე 51816—74 კაპ. და გაიყიდა 64503—31 კაპ.

⁂ 9 ივნისს, კრება ჰქონდა საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც ხორცისა და პურის ნიხრის დაწესება აქვს მინდობილი. კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა დაუკლოს პურის ნიხრს: 1 ხარისხისას—ერთი კაპეიკი, ხოლო მე-II და III ხარისხისას—$^1/_2$ კაპეიკი. ხბოსა და კამეჩის ხორცის ნიხრის დაწესება შემოდგომამდე გადასდო. გარდა ამისა, კომისიამ დაადგინა, რომ თითო შაურიანი „ბულკი" წონით $^3/_4$ გირვანქა უნდა იყოს, ხოლო სამკაპეიკიანი $^1/_2$ გირვანქა.

⁂ შინაგან საქმეთა მინისტრმა ფინანსთა მინისტრისა და სახელმწიფო კონტროლიორთან მოლაპარაკების თანახმად საჭიროდ იცნო პოლიციაში დაპატიმრებულთ ხაზინიდგან საჭმელ-სასმელის ფული პირველ დღესვე მიეცეთ, თუ იგი დღის 12 საათამდის იქმნა დაპატიმრებული და თუ შემდეგ, მაშინ ფული უნდა მიეცეს იმ შემთხვევაში, თუ დაპატიმრებული მეორე დღის 12 საათამდის არ იქმნება განთავისუფლებული. დღემდის-კი სასმელ საჭმლის ფული ეძლეოდათ მხოლოდ იმათ, რომელნიც ერთ დღე-ღამეზედ მეტს დარჩებოდნენ ხოლმე პოლიციაში.

⁂ ოთხშაბათს, 10 ივნისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგურში საერთო კრება ჰქონდათ ამ საზოგადოების წევრთ. კრებამ, სხვათა შორის მოილაპარაკა იმ 3,000 მანეთის შესახებ, რომელიც კერძო საეკონომიო საზოგადოებისაგან მოუვიდა წარსულის წლის მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ. საზოგადოების წევრმა ბ-ნმა ტრეგუბლოვმა კრებას მოახსენა, რომ ეხლა უკვე დადგა დრო ახალის მოსავლის მოგროვებისა, ბევრგან მკა და ლეწვაა გაჩაღებული, რის გამოც ჭირნახულის ფასმა იკლო და შარშანდელის მოუსავლობით დაზარალებულნი უკვე გასწორდნენ წელში, ამიტომ თუ დღემდის თავი ირჩინეს, დღეის იქით უფრო აღარ გაუჭირდებათ, რადგან ახალი მოსავალი მოუვიდათო. იმათზედ გაჭირვებულნი ამ ჟამად ტფილისის ღარიბი ხალხია, რომელიც არც სთესს, არცა მკის და პურს გირვანქობით ჰყიდულობს მეპურეთაგან. პური-კი, როგორც მოგეხსენებათ, გაძვირდა ტფილისში და ამიტომ კარგი იქმნება ეგ 3,000 მან. ტფილისის ღარიბ მცხოვრებთ დაურიგოთო. კრებამ არ შეიწყნარა ტრეგუბლოვის წინადადება, რადგან 3,000 მან. მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ არის გამოგზავნილიო და საჭიროდ იცნო ცალკე კომისიის არჩევა, რომელმაც უნდა გაანაწილოს ეს 3,000 მან. და ამ აზრითვე მიღებული 25 მან. კომისიის წევრებად კრებამ აირჩია: თავ. პ. მ. გრუზინსკი, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი, ბ-ნი ქალანთარი, კოლჩევსკი, საიკოვი, თავ. ანდრონიკაშვილი და იოსელიანი.

⁂ ოთხშაბათს, 10 ივნისს, სოლოლაკში, არლოვის ქუჩაზედ, თავიანთ სახლის წინ, ცოლ-ქმარი კაბახიძეები დილიდგან მოკიდებული საღამომდის გამალებული ჩხუბობდნენ. მთელი დღე ისე დაალამეს ჩხუბსა და დავიდარაბაში, რომ ერთი პოლიციელი არ გაჩენილა მშვიდობიანობის აღსადგენად. საღამო ჟამზედ ჩხუბს მოუსწრო გერმა, ეცა მამინაცვალს და 7 ადგილს დასჭრა სასიკვდილოდ. ამის შემდეგ გავიდა კიდევ კარგა დრო და ძლივს გამოჩნდა ორი პოლიციელი. დაჭრილი ჭრილობისაგან გარდაიცვალა და დამნაშავე-კი დაპატიმრებულ იქმნა. ნეტა ეხლა მაინც მიაქციონ ყურადღება ამ ქუჩას და პოლიციელი დააყენონ, რადგან, როგორც იქაურებმა შემოგვჩივლეს, ისე თენდება და ღამდება თურმე, რომ აქ კაცი ვერასოდეს ვერ დაინახავს მშვიდობიანობის დამცველს.

⁂ ამ ჟამად საფრანგეთის მთავრობამ რუსეთში გამოჰგზავნა ბარონი დებაი, რუსეთის საეტნოგრაფიო და საარქეოლოგიო ნაშთების შესასწავლად. ბარონს დებაის განზრახვა აქვს იმოგზაუროს აგრეთვე ამიერ-კავკასიასა, დაღესტანსა და ყუბანის ოლქებშიაც.

⁂ გაზეთების სიტყვით, ამ თვის გასულს ჩამოვა კავკასიაში მთა საყინულის მკვლევარი, უნგრეთის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრი ბ-ნი დეში. დეშს თან მოსდევს ორი პროფესორი და ორიც გზის მაჩვენებელი ტიროლელი.

⁂ გაზ. „ახ. მ." სიტყვით, ამ ჟამად ტფილისში არის ბესარაბიის რამდენიმე მემამულე, რომელთაც აზრადა აქვთ შეიძინონ კავკასიაში დიდი ადგილი და სამაგალითო სოფლის მეურნეობას მიჰყონ ხელი.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც." პეტერბურგიდგან ატყობინებენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა და სახელმწიფო საბჭოს შემოდგომის სესსიას წარუდგენს განსახილველად პროექტს ღვინოზედ აქციზის შემოღების შესახებ.

⁂ გაზ. „კავკასის" სიტყვით, წარსულ წელს ვანქის გუბერნიისა და სხვა-და-სხვა მაზრისა და ბაქოს გუბერნიის გეოგჩაის მაზრაში მოუყვანიათ სულ 177,800 ფუთი ბამბა. მათ შორის არეშის მაზრაში—95,000 ფუთი, ჯევანშირის მაზ.—30,000 ფ., შუშის მაზ.—20,000 ფ., ზანგეზურის მაზ.—3,500 ფ., განჯის მაზ.—1,300 ფ. და გეოგჩაის მაზ.—28,000 ფუთი. ფუთი ბამბა შარშან 7 დგან 8 მანეთამდე ჰღირდა. სულ 10 წელიწადი იქნება მხოლოდ, რაც ამ ადგილებში ბამბის თესვა დაიწყეს და ეხლა ამდენი მოჰყავთო. გაზეთი იმასაც უმატებს, რომ ბევრმა ბრინჯის მოყვანას თავი დაანება და ბამბის მოყვანას მიჰყო ხელიო.

*** ქ. ბათუმი. ვერ წარმოიდგენთ, რა უყურადღებოდაა დატოვებული აქაური მართლ-მადიდებელთა სასაფლაო. ხშირად შეხვდება აქ კაცი მოსეირნე საქონელს და მათ შორის ღორებს, რომლებიც თავიანთი დინგებით გამაღლებული სთხრიან მიწას და ერთმანეთში ურევენ საფლავებს. ნუ თუ ასე უყურადღებოდ უნდა იყოს მიტოვებული ის ადგილი, სადაც ბევრს თავისის საყვარელ არსების ძვლები მაინც არის ეგულება საფლავ ქვეშ დამარხული?!.

*** ქ. სიღნაღი, 8 ივნისი. ქ. სიღნაღში არის ერთი ყველასაგან მივიწყებული ქუჩა. ესრედ წოდებული „ფოსტის ქუჩა“. ამ ქუჩაზეა მოთავსებული ფოსტისავე სადგური იმისდა მიუხედავად, რომ ამ ქუჩას უფრო მეტი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, დღისით კარგად შენახული იყოს და ღამე კარგად განათებული, რადგან დღე და ღამ ამ ქუჩაზედ განუწყვეტლად დაარახრახებენ ფოსტის ეტლებს. ამისთანა მივიწყებული და უპატრონო ქუჩა ვგონებ სიღნაღში არ იყოს. წვიმა მოვა თუ არა, სწორედ ამ ქუჩის პირად მოვა ხოლმე. ისეთი ტალახი და ტბორეები დადგება ხოლმე, რომ მუხლებამდე უნდა ვტოპოთ ტალახში, გვალვა იქნება და, უნდა ამოვირჩოთ მტვერ-ბუქით. უმთვარო და მარაგ ღამეებში კიდევ ვაი გამვლელ-გამომვლელის ბრალი, ან უნდა ერთმანერთს ეტაკნენ, ან ცხვირ-პირი უნდა ჩაიმტვრიონ სადმე. ამ რამდენიმე წლის წინად ჯერ ისევ ს. ტერ-მათეუზოვის დეპუტატობის დროს მოჰკრიფეს ფული ამ ქუჩაზედ მცხოვრებთაგან ფარნებისათვის, მაგრამ ამ ფულით გაკეთებული ფარნები ამშვენებს ხსენებულ ქუჩას თუ არა? არა, ბატონებო, გააკეთეს მარტო სამი ფარანი, ერთი თვით ბ-ნ დეპუტატმა დასდგა თავისის სახლის კარებთან, მეორე—მ. ამირალოვის კედელზე მიაკოწიწეს და მესამეც—ქ. ყულიჯანოვის კედელზედ. მორჩა და გათავდა. ეს ფარნები ისე ჰყოფნის ამ ქუჩას, როგორც ერთი წვეთი წყალი მაშვრალს. ამ ქუჩაზედ ჩამოდის ნუკრიანიდგან დიდი ღვარი, ზემო ბაზრის ღვარიც ამ ქუჩის სტუმარია, ნუკრიანიდგან ჩამონავალ სადვარეზედ არის აშენებული ქვიტკირის თაღიანი ხიდი, ბაზრიდგან ჩამომავალ ღვარისთვის აქვს ამ ხიდს დოლაბივით კარგა მოზრდილი ადგილი, ამ დაგდებულ კარებზედ იდო მუხის ჩარჩოში გაკეთებული რკინის წყლის ჩასადენი. ესეც აიღეს და კარგა ხანია აღარავინ არა ფიქრობს ამ საშიშ ადგილის დახურვას.

წინა მთარში გაიჭრა ქერები და ჩვენი ვაჭარნიც დიდს მზადებაში არიან თავიანთ ოც გირვანქიან ჩანახებით. მინდვრის მოსავალი ჯერ-ჯერობით მშვენიერია, ვენახებიც სანაქებოა, სადაც არ დასეტყვილა. დიდ მოსავალს გამოელიან, თუ ღმერთმაც და ღრუბელი დაუმშვიდა. პურის ნაკლებულობამ ძრიელ შეაწუხა ხალხი და მოუთმენლად მოელიან ყანების შემოსვლას. ქართულის დასის რამდენიმე მსახიობი ეწვია ჩვენს ქ. სიღნაღს, მაგრამ ვერაფერ მოგებით წამოვლენ, თუ სადმე უშოვიათ რამე, ვგონებ იმასაც აქ დასტოვებენ.

*** ახალ-სენაკი. შაბათს, 13 ივნისს, ქუთაისის ქართული დრამატიული დასი ქართველ საზოგადოების საყვარელის მსახიობის ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით გაჰმართავს ახალ-სენაკში წარმოდგენას. წარმოდგენილი იქმნება: „და ძმა“ ისტორიული დრამა მეგრელთა ცხოვრებიდგან ბ-ნ ვ. გუნიასი, მონაწილეობას მიიღებენ: ალექსი-მესხიშვილი, ბალანჩივაძე, ქ-ნი ჩხეიძე, თუთბერიძე, ქ-ნი ივანიძე, დ. ჩარკვიანი, ბ-ნი ნემო, გაბუნია, გრ. ჩარკვიანი, პეტრიძე, რიონელი და ალავიძე. მეოთხე მოქმედების დასასრულს იმღერებს ხორო. რაც შეეხება ბილეთების ფასს, უნდა შევნიშნოთ, რომ დალოცვილებს ძალიან აუწევიათ. ჩვენის აზრით, პროვინციებში საკმარისი უნდა იყოს 1 რიგის ბილეთის ფასი 2 მან., ამათ-კი სამ მანეთზედ მეტი დაუწერიათ. მაინც დარბაზი ხალხით გაივსება, რადგანაც თვით დრამა აქაურის ცხოვრებიდგანაა აღებული და აქაურებიც მოუთმენლად მოელიან ამ წარმოდგენას.

*** 11 ივნისს ღვინით მოვაჭრემ ანდრია გივიტმა განაცხადა პოლიციაში, რომ ამ დღეს, ღამის 1 საათზედ, ხემს სარდაფში, ავჭალის ქუჩაზედ, ორი კაცი შემოვიდა, ტფილისის მცხოვრებელნი ნიკოლოოზ ბიბილაშვილი და მიხეილ დადეშურაბიშვილი, დასხდნენ სტოლთან და ღვინო მოითხოვეს. როდესაც ცოტაოდენი დალიეს, ერთს ჭიქაში რაღაც საწამლავი ჩაყარეს და დახლიდარს გიორგი კერაულიშვილს მიაწოდეს დასალევად. დახლიდარმაც უარი არა სთქვა და დალია, მაგრამ ცოტა ხანს უკან ძილი მოერია თურმე. ბოროტ-გამზრახველთ ისარგებლეს ამით, დახლიდგან 35 მანეთი მოიპარეს და სადღაც დაიმალნენ. დამნაშავენი 10 ივნისს შეიპყრეს, გამოტყდნენ და გამომძიებელმა საპატიმროში გაჰგზავნა.

*** 11 ივნისს, დილის $10^1/_2$ საათზედ, გორის მაზრის გლეხი დავით მაისურაძე მუშაობის დროს ვეტცელის სახლის მეორე სართულიდგან ძირს ჩამოვარდა და ძალიან დაშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

## წერილი მთის რაჭიდგან

რაჭაზედ დიგორის გვირაბით რკინის გზის გაყვანის საქმე თუმცა სადათას ძილს მიეცა და კაიხანია აღარა ისმის რა მის შესახებ, მაგრამ, ჩვენ, მთის რაჭველები, მაინც არ ვკარგავთ იმედს მისის განხორციელებისას. ისეთ მივარდნილ მიყრუებულ და უგზო უკლოობით ყოველ განათლებულ მხარეზედ მოწყობილ სოფლებში, როგორიც არის რაჭის მთის სოფლები: ღები, ჭიორა და გლოლა, აბა ვის რა ეპრიანება მადნების ჩხრეკა, თუ რომ მოკლე მომავალში ამ სოფლებზე რკინის გზის გაყვანას არ მოელოდნენ? აქაურ მთაგორებაში, რომლებიც უხვად დაუჯილდოვებია ბუნებას მრავალ გვარის ლითონით, ამ ჟამად დიდი მოძრაობა და დიდი ჩხრეკა-კვლევაა ჩადნებისა. სადაურს და რა რჯულის ხალხს არ ჰქონია შეტანილი განცხადება აქაურ მადნებზედ ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში! ასე გასინჯეთ, ქ. ქუთაისიდგან ვიღაც ქალბატონს ნინოსაც-კი განუცხადებია, რომ სოფ. ღების ამადა ამ სახაზინო თავისუფალ მთაგორებში მადანი აღმოვაჩინე და მუშაობის ნებართვის მოწმობა მიბოძეო. ამ დღეებში სოფელ ღებში მოელიან ერთს მდიდარს ამხანაგობას, რომელმაც წარსულ წელშივე შეისყიდა სამადნე ადგილი 200,000 მან. ღმერთმა ჰქნას, რომ დღემდის გაჯახირებული და სიბნელით გარემოცული რაჭის მთის სოფლები სიღატაკის ხეჭედგან გამომძვრალიყოს და დაენახოს სინათლე.

ამ სამი წლის წინად სოფლები: ღები და ჭიორა ცალკ-ცალკე საზოგადოებას შეადგენდენ. იმ აზრით, რომ ეს ორი გაცალკევებული საზოგადოება საერთო ღონით, მეცადინეობით, ერთსულოვნობით და ერთგულობით საზოგადო საქმეს ყოვლის მხრით წინ წაიყვანდნენ, მთავრობამ შეაერთა და ერთ საზოგადოებად გაჰხადა. მაგრამ დ ლახვრის ღმერთმა ეშმაკი! ამ ორ მეზობელ სოფლის შეთვის-შეკავშირება ისე არ მოხერხდა, როგორც შუაზედ გატეხილ სიმიდის მჭადისა. მათის შეერთების დღიდგან ერთიც და მეორეც გათვისებას სთხოვს მთავრობას მაგრამ, არც იმათ გათვისება ეშველა რამე. მაისის მიწურულებში მთის რაჭასაც ეწვივნენ სკოლების მეუფროსენი: ინსპექტორი სამინისტრო სკოლებისა ბატონი საფიჩი და საეპარქიო სკოლების მეთვალყურე მამა კელენჯერიძე. მთის რაჭაში სულ სამი სკოლა არსებობს—ღებში, ჭიორაში და უწერაში. ამათში ღებისა სამინისტრო სკოლაა, ხოლო დანარჩენი ორი კი სამრევლო სკოლები. უწერის სამრევლო სკოლით ვერ დაშთა კმაყოფილი მამა კელენჯერიძე, რადგან სამის წლის ფეხ ადგმულ სკოლისთვის მის მასწავლებელს ორივე ფეხები შეუმუსრავს და აღუგვია იგი პირისაგან ამა ქვეყნისა.

ჩვენში რაღაც უცნაური სენი ჰბუდობს, რომელსაც სახელად ღორთელს ეტყვიან და რომელიც სოკოსავით უჩნდებათ დედაკაცებს თუ კისერში და თუ ძუძუში. ამ სენის მკურნალობა ხელობად აუღია ერთ აქაურ სულიერ მანდილოსანს, რომელიც თავის წარა-მარა ექიმობით მრავალ ამ სენით დავრდომილთ უარესს დღეში აგდებს. ამ ერთის თვის წინად ერთმა ახალგაზდა გლეხმა მიჰგვარა ძუძუ მტკივანი დედა საექიმოდ. ჯანაოზმა ქალმა საკმაო სასყიდლით თავს იდო განკურნება ავადმყოფის დედაკაცისა და აღუთქვა გლეხს „ერთი კვირის შემდეგ დედაშენს განთავისუფლებულს ჩაგაბარებო“ და კიდევაც აღასრულა. ვადაზედ გლეხს კარს მიადგა გამცხადებელი და შეასამძიმრა. „დიდი ხნის მშვიდობა და ბედნიერება დაუგდია თქვენს დედას, მას ცხონება და თქვენ მშვიდობა და დღეგრძელობა. გუშინ აპერაციას უშვრებოდნენ ცხონებულსა, ვერ გაუძლო საცოდავმაო“...

რიონის სათაველი

## წერილი ახალ სენაკიდგან

9 ივნისი

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა გაზეთებში ჩვენის დაბის უკან ჩამორჩენის ამბავი. სხვაგან აარსებენ წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს, მართავენ წარმოდგენებს სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო აზრით და აქ კი ყოველსავე ამას მოკლებულია ადამიანი. ამის ნაცვლად ერთ მანეთის მტრობა ქიშპობაში, ან და „ბილიარდის“ და „დუშაში“-შე-ოხერის თამაშში ატარებენ დღეებს. აი, პირველი საზრდო ჩვენის გონებისა და განათლებისა. ღვთის მადლით, სენაკში ბევრია ეგრედ წოდებული სასტუმრო, სადაც ამ გვარ გზა დაბნეულებს შეუძლიანთ თავის შეფარება და გართობა. ამათ, რასაკვირველია, არც ახლო-მახლო მცხოვრებნიც ჩამორჩებიან. გაჰყიდიან სიმინდს თუ არა სენაკში, მიეშურებიან ამ განათლების სალაროში. ზოგიერთი მათგანი ჯიბის გასქელებისა ნაცვლად ხახა-მშრალი, ცალიერ-ტალიერი და ჯიბე-გამოფხეკილი ბრუნდება უკან. ყოველსავე ამას რაოდენადმე ასცდებოდა ადამიანი, ამოდენა დაბაში რომ ერთი რიგიანი სამკითხველო იყოს დაარსებული. მაგრამ ა ვის შესტკივა გული?! ჩვენის კურთხეულის დაბის მამა-პატრონ დეპუტატებს დაბის საკეთილდღეოდ რაიმე რიგიანის საქმის გაკეთება აინუნშიაც არ მოსდით, თითქო მეტ ბარგად და დროს დაკარგვათ მიაჩნიათ.

რა მარტო ეს, აქაურ დეპუტატებს ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი და მათ შორის უფრო-კი იარმუკობის დაარსებისათვის უნდა ეზრუნათ, მაგრამ ჯერ, როგორც მოვაჭრეები და მცხოვრებნი ამბობენ, თითიც არ გაუნძრევიათ. ჩვენის აზრით, იარმუკობის დაარსება ახალ-სენაკში ერთი უპირველესი საზრუნავი საგანია, რადგანაც იმაზეა დამოკიდებული ყოველივე ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, რომელიც ოდნავ მაინც წინ წასწევს დღევანდელს დაცემულს ვაჭრობას. დროა, დრო ჩვენის დაბის მამაპატრონებმა მხნეობა გამოიჩინონ და ხელი მოჰკიდონ იმ საქმეს, რომელიც უკისრიათ.

ტელეფონი

# უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გუანტამანოს მახლობლად დაბანაკებულ ამერიკელების ჯარს ესპანელნი მოსვენებას არ აძლევენ. ისე დღე ან ღამე არ გავა, რომ ესპანელნი თავს არ დაესხან ამ ერთ მუჭა რაზმს და თოფების სროლა არ დაუწყონ. ესპანელნი აქამდის ამოუღლელნ კიდეც მათ, რომ ნაპირთან მყოფი ამერიკის გემები მარჯვეთ არ იყვნენ და თავიანთ ყუმბარებით არ იგერებდნენ თავზედ ხელ აღებულ მტერს. ამერიკელები ეხლა ნანობენ კიდეც, რომ სხვა ჯარის მოსვლას არ დაუცადეს და ეს მცირე რაზმი ნაპირზედ გადასვეს. სწორედ ამიტომ სამხედრო ყოველ დღე დეპეშას ჰგზავნის ვაშინგტონში და სთხოვს რაც შეიძლება ჩქარა მომაშველეთ ჯარიო. რაც შეეხება ესპანელთ, იმათ მტკიცეთ გადაწყვეტეს სრულიად ამოწყვიტონ ამერიკის ის რაზმი, რომელიც ამ ჟამად გუანტანამოშია, ვიდრე სხვა ჯარი მოეშველებოდეს, შემდეგ ნაპირი გაამაგრონ, რომ ამერიკელებმა ახალის ჯარის გადასხმა ვეღარ მოახერხონ. მაგრამ დღეები გადის, კი-ვესტიდგან გასული ჯარი უკვე უახლოვდება სანტიაგოს და ესპანელთ-კი თავიანთი განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ. ამერიკელები ისე მამაცად ებრძოლებიან, რომ მათი დამარცხება თითქმის შეუძლებელი გახდა. წინად ხანაკი ამერიკის რაზმს, ნაპირიდგან ცოტა მოშორებით, მაღლობზედ ჰქონდა გამართული. ეხლა-კი ძირს ზღვის ნაპირთან ჩამოიტანეს, რადგანაც აქ გემების საახლოვე უფრო უშიშარ ჰყოფს მას. როგორც უკვე ვწერდით გუშინ, ხანგრძლივი შეტაკება მოწინააღმდეგეთა შორის შაბათს მომხდარა. მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა და მეორე დღეს, კვირას, ბრძოლა განახლებულა, ამ ბრძოლის დროს ამერიკელებს ორი კაცი მოუკლეს, ხოლო ესპანელებს ოცი კაცი. ამ კაცების გვამი ბრძოლის შემდეგ ხანაკის მახლობლად ბუჩქებში უპოვნიათ. თუ ამერიკელების მცირე რაზმი შემდეგშიაც ასე გამაგრდა და ესპანელებს არ დაემორჩილა, მათი საქმე კარგად წავა. დღეს არა ხვალ სანტ-იაგოში კი-ვესტიდგან გამოგზავნილი ჯარი უნდა მივიდეს. რაზმის წყალობით ეს ჯარი ხელად გადავა ნაპირზედ და მაშინ სანტ-იაგოს დაპყრობას წინ აღარაფერი დაუდგება, ამერიკის სამხედრო დეპარტამენტმა უკვე განაცხადა ოფიციალურად, რომ კიესტიდგან ჯარი გენერალის შეფტერის უფროსობით გამგზავრა სანტ-იაგოსაკენაო. ეს ჯარი 14,564 ჯარის-კაცისა და 773 აფიცრისაგან შესდგება. ამავე დროს მარშალმა ბლანკომაც გაგზავნა ესპანელების მისაშველებლად ჯარი ჰავანიდგან. მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამერიკელები რამდენისამე დღით ადრე მივლენ სანტ-იაგოში, ვიდრე ესპანელნი.

— ლონდონის გაზეთებს დეპეშით აუწყობინებენ ამერიკიდგან, რომ ვაშინგტონის მთავრობა ახალს მსროლელ მოსიარულე ესკადრას ამზადებსო. ამ ესკადრის დანიშნულება ის იქმნება, რომ ატლანტიის ზღვაში უნდა უდარაჯოს ადმირალის კამარის ფლოტს, რომელიც ამას წინად ესპანიიდგან გამოვიდა და პირველადვე შეხვედრის დროს ამოსწყვიტოს ეს ფლოტიო.

═

**ოსმალეთი.** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამას წინად კონსტანტინეპოლში მყოფმა რუსეთის ელჩმა სიტყვიერად მოსთხოვა ოსმალეთის დიდ ვეზირს, რომ ოსმალეთიდგან კავკასიაში გახიზნული 40,000 სომეხი უკანვე მიიღეთ და თავიანთი ადგილ-მამული დაუბრუნეთო. დიდმა ვეზირმა არ შეიწყნარა ეს წინადადება. ეხლა, როგორც კონსტანტინეპოლიდგან სწერენ გაზეთებს, რუსეთისავე ელჩმა 2 ივნისს გადასცა ოსმალეთის მთავრობას ნოტა (მიწერილობა), რომელშიაც დაბეჯითებით თხოულობს, რომ იმისი წინადადება უეჭველად სისრულეში იქმნას მოყვანილი. გაზეთები უმატებენ, რომ ეს ამბავი სულთანს არ ესიამოვნაო.

— ამავე რიცხვს, ე. ი. 2 ივნისს, ბერანში ჩერნოგორიის მოსაზღვრე დარაჯებსა და ალბანელებს შორის შეტაკება მომხდარა. შეტაკების მიზეზი ისა ყოფილა, რომ ალბანელებს ცეცხლი წაუკიდებიათ დაბა პეტნიკისა და ორის სხვა სოფლისათვის. ამ ადგილებში მცხოვრები ქრისტიანები ჩერნოგორიაში გახიზნულან.

# ნარევი

—

ერთი ეკლესიის ზარის დამრეკი მეტად უბედური კაცი იყო, ყველაფერი უკუღმართად მოსდიოდა. ერთხელ რაღაზედაც გაუღიმა ბედმა და იმასაც სხვა შეეცილა, უსამართლოდ წაართვა. მთელი ღამე ტირილში გაატარა საბრალომ, მეორე დილას ადრიანად ავიდა სამრეკლოზედ და სამგლოვიარო ზარი ჩამო-

ჭკრა. ხალხი შეიკრიბა და შეეკითხნენ:

— ვისა ჰმარხავენო?

— სამართლიანობასაო, უპასუხა ნაღვლიანად ზარის დამრეკმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მკითხველმა იცის, რომ ამერიკაში ბევრი მდიდარი კაცია, რომელთა სიმდიდრე ათასობითა და ათი ათასობით-კი არ ითვლება, არამედ მილიონობითა და მილიარდებით. ხალხს საზოგადოდ ძლიერ უყვარს სხვის ჯიბეში ფულის დათვლა და შურით შესცქერის ამ ბედნიერ კაცებს და შურითვე კითხულობს იმათ ამბავს. მაგრამ, თუ კარგად გავიგეთ ამ „ბედნიერ“ მდიდარ კაცების ცხოვრება და გულის წადილი, მალე დავრწმუნდებით, რომ ბევრი მდიდარი კაცი არც თანაგრძნობის ღირსია და არც შურისა. გამდიდრებული კაცი, რაც უნდა აუარებელი იყოს მისი სიმდიდრე, მოსვენებული და კმაყოფილი არ არის, სულ უფრო მეტის სიმდიდრის შეძენა უნდა და დღე და ღამ მხოლოდ იმის ფიქრსა და დარდშია, საიდგან რას გამოვრჩე და ხელში კიდევ ვისი სიმდიდრე ჩავიგდოო. ამ გვარი ფიქრი ვერაფრად სასიამოვნოა და არა გვგონია, რომ ის სიამოვნება, რომელსაცა ჰგრძნობს მდიდარი კაცი, ოდეს სხვას წაართმევს რასმე, აღემატებოდეს მეცნიერისა, პოეტისა, მხატვარის ანუ სხვა საზოგადო მოღვაწის სიამოვნებას, ოდეს მიაღწევს გულის წადილს და იგრძნობს, რომ ქვეყანას სარგებლობა რამ მოუტანა. მილიონებისა და ბილიონების პატრონი მუდამ იმის ფიქრშია, რომ ჩემზედ მდიდარი კიდევ ოთხი, სამი, ან ორი კაცი სხვა არის და მე პირველი არა ვარ მათ შორისაო. თვით სიმდიდრე არ აკმაყოფილებს მას: აშენებს დიდს სასახლეს, ყიდულობს ძვირფას ნივთებს, სწირავს დიდს ფულს უნივერსიტეტისა ანუ რომელსამე საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ, აძლევს დიდს ქრთამს წარჩინებულ გვარის კაცს და სთხოვს — ჩემი ქალი ცოლად შეირთეო, მაგრამ თვითონ-კი, თავის ცხოვრებაში, ეს მდიდარი კაცი მხოლოდ კრიჟანგია, რომელიც ერთს გროშს დაჰკანკალებს და სხვისთვის არ ემეტება.

აი, მაგალითად, როგორა სცხოვრობენ მილიონების პატრონი ამერიკელები როკფელერი და ასტორი. როკფელერს ამერიკაში ნავთის „მეფეს“ ეძახიან, მეორე პატრონია მთელის დიდის შტატისა. როკფელერს ამ ჟამად 400 მილიონი მანათი აქვს. წლიური შემოსავალი მისი უდრის 24 მილიონ მანათს, ე. ი. თითო წამში თითო მანათს. რამდენჯერაც თვალს დაახამხამებს, იმდენი მანეთი შემოაქვს იმის უიმისოდაც აუარებელს ქონებას. მერე ბედნიერია ეს „მეფე“, რომელსაც ხელთ უპყრია მთელის ამერიკის ნავთის წარმოებაჸ არა, ამ „მეფეს“ დღე და ღამ ის დარდი აწუხებს, რომ რუსეთის ნავთი ამან-კი არ ჩაიგდო ხელში, არამედ სხვამ, ევროპიელმა მდიდარმა კაცმა — როტშილდმა. როგორ ატარებს დროს როკფელერი? ნავთის „მეფე“ იღვიძებს დილის 7 საათზე. იმ წამსვე მოდის დალაქი და 15 წუთს უნდება მდიდარ მუშტარის თავისა და სახის გალამაზებას. ამ შრომისათვის როკფელერი ძლევს 15 ცენტს, ანუ 30 კაპეიკს, რადგანაც არა ჰსურს, რომ მისის სიუხვით ღარიბი კაცი გაირყვნას. ამ თხუთმეტს წამში თვით როკფელერს მიემატა 1600 მანათი, თუმცა დღეს ჯერ არაფერი გაუკეთებია. ეხლა როკფელერი საუზმობს. კარგად იცის, რომ ბევრი ჭამა არ ვარგა, ეშინიან კიდეც, არაფერმა მაწყინოსო და მიირთმევს მხოლოდ რძესა, ერთს ნაჭერს დაკეპილს ხორცსა და ორიოდე კარტოფილს. მერე 10 საათამდე სეირნობს და 10 საათზედ მიდის ფეხით თავისს კანტორაში. აქ უნდა წაიკითხოს აუარებელი წერილები, დეპეშები, პირობის ქაღალდები, თამასუქები, გადაათვალიეროს ანგარიშები, დავთრები და კიდევ ვინ იცის რა. ამ დროს სულ იმის ფიქრშია, მე ვის რა წავართვა და მე არავინ წამართვას რაო. შუადღისას კიდევ საუზმეს მიირმევს და 4 საათამდე კვლავ საქმეშია გართული. 4 საათზე შინ მიდის ეტლით, რადგანაც ჰგრძნობს, ბევრი ვიმუშავე და შეიძლება ეტლისათვის ფული დავხარჯოვო. 7 საათზე სადილს მიირთმევს. 10 საათზე ყველანი იძინებენ როკფელერის სასახლეში, მაგრამ თვით როკფელერს-კი არა სძინავს. სულ იმის ფიქრშია, როგორ გავმდიდრდე ისე, რომ ჩემზე მდიდარი არავინ იყოსო. ეხლა ხომ სიმდიდრით როკფელერს მხოლოდ მეოთხე ადგილი უჭირავს მდიდართა შორის. რა კარგი იქმნება, რომ პირველი მე ვიყოო, ჰფიქრობს როკფელერი და ძილი არ ეკარება. რად უნდა იმაზედ მეტი სიმდიდრე, რაცა აქვს? უეჭველია, როკფელერი არასოდეს არ დაფიქრებულა ამაზედ.

ასევე სცხოვრობს ასტორიც. ბედნიერები არიან, თუ არა ეს მილიონის პატრონები? რაღა თქმა უნდა, რომ ბედნიერები არიანო, იტყვის ღარიბი კაცი, რომელიც გამუდმებითა შრომობს ლუკმა-პურისათვის. მაგრამ, თვით ასტორი და როკფელერი რომ ასე ჰფიქრობდნენ, მეტად საეჭვო უნდა იყოს.

* * *

გამოანგარიშებულია რომელს ქვეყანაში რამოდენად არის გავრცელებული წერა-კითხვის ცოდნა მკვიდრთა შორის. ამ ანგარიშით მოდის ასზე რუსეთში 16 კაცი, ავსტრიაში — 52, საფრანგეთში — 85, ინგლისში 90, ჩრდილო ამერიკის შტატებში — 95, გერმანიაში — 98.

## მე გახლავართ

(„ივერია“ № 104 და 105 *)).

წავიკითხე თქვენი წერილი ჩემის ლექსიკონის შესახებ და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ცარიელი რიხიანობის მეტი ვერაფერი ვნახე შიგა. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც, რა წამსაც მწერალი გადავა „პირადობაზედ“, ის უკვე „საზოგადოს“ აღარ ეკუთვნის, ის უკვე ჩვეულებრივი მომაკვდავია და ამიტომ მისი ნაწერიც ჰკარგავს იმ ღვთაებრივ სიმარტივეს და ჭეშმარიტებას, რომლითაც მჭევრობს სიმართლის მიმდევარი მწერალი. თქვენ მიკიჟინებთ: „დარწმუნებული ვართო, რომ ჩვენი სიტყვები როსტომაშვილს ფიქრს არ შეუცვლისო, ჩვენ შარშანაც ვაფრთხილებდითო, მაგრამ არ დაგვიჯერა და მაინც გამოსცა თავისი ლექსიკონიო“ და სხვ. მაგრამ რატომ წინათვე არ იცოდით, რომ ივანე როსტომაშვილი „აზიელის“ რჩევასა და დარიგებას თავს არ დაუდებს, რომ სიტყვები — „გაჩერდი“, „მოკვდი“, „ასეა ჩემი ნება, ჩემი სურვილი“... დიახ, რატომ წინათვე არ იცოდით, რომ ასეთს სიტყვებსა და აზრებს ივანე როსტომაშვილი ვერ შეიშვნევს და თვისსა წმიდათა-წმიდას ისე ადვილად არ უღალატებს!? ან რად გიკვირთ ესა? მე რომ გითხრათ თქვენ: კრიტიკოსობა რა თქვენი საქმეა, ვინ თქვენა და ვინ კრიტიკოსი, კრიტიკოსი უნდა იყოს მაღალის ჭკუისა და კიდევ უფრო მაღალის, მოუსყიდველის გონების პატრონი, სჯობს მაგ საქმეზე დაკარგული დრო ისევ ყრმათა სწავლებას მოახმაროთ, — განა რომ სასაცილოდ არ გეყოფით და, რაღა თქმა უნდა, არც შეასრულებთ ჩემს რჩევასა, ხელს არ აიღებთ თქვენს ნაძალადევ ხელობაზედა!.. ამიტომ, ვიმეორებ, რად გიკვირთ, რომ მე თქვენ არ გისმენთ, თქვენი რჩევა და გაფრთხილება ახლოც არ მიმიკარე!?. რად გიკვირთ, რომ ჩემს წმიდათ-წმიდას არ ვუღალატე და მაინ ვმსახურე მას!

შენიშნულია, რომ ჩვენ ქართველები დიპლომატები არა ვართ, საქმისა ღრმად ჩახედულობა არ ვიცით, სხვის აზრს, განზრახვას, მოქმედების სარჩულს ძნელად თუ გავიგებთ, მივხვდებით. ასე დაგემართათ თქვენც იმ თავითვე ჩემს განზრახვათა წინააღმდეგ გამოლაშქრებაში. თქვენ ვერ გაუგეთ აზრი და სარჩული ჩემს შრომასა, ვერ ჩაჰსწვდით მის სიღრმესა და ვერც ჩასწვდებოდით მასა, თუნდა კიდევაც რომ მოგესურვათ, რადგანაც, თქვენ იმავ თავითვე დაჩვეული ხართ ყველაფერს ზერე-ქვერულად შეეხოთ, გაჰკრათ, გამოჰკრათ. თქვენ რომ ოდნავაც არის დაჰფიქრებოდით ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა-შემუშავების საქმეს, თავის დღეში არ იტყოდით და ვერც გაჰბედავდით საჯაროდ გეწოდებინათ ჩემის შრომისათვის „უნაყოფო შრომა“, მაგრამ რა ვუყოთ ჩვენს გაჩენასა, რომ ჩვენ იმავ თავითვე მოკლებულნი ვართ საქმისა ღრმად ჩახედვასა! თქვენ რომ საქმისა ღრმად ჩახედვა გცოდნოდათ, დაინახავდით, რომ ჩვენს დღევანდელს ყოფაში, ჩვენის ლექსიკოგრაფიის დღევანდელს მდგომარეობაში, ყოვლად შეუძლებელია ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა-გამოცემა; დაინახავდით, რომ ეს ფრიად დიდი საქმე დღეს შეიძლება განხორციელებულ იქმნას მხოლოდ და მხოლოდ რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა გამოცემის შემდეგ და თქვენ-კი გამოდიხართ და საქვეყნოდ ამცირებთ და ათახსირებთ ჩემს შრომასა და უბრალო შენიშვნებითა და ლექსთა მიკიბვმოკიბვითა, უწოდებთ მას უნაყოფოსა, უაზროსა და სხვ. თქვენ რომ ღრმად ჩახედვა იცოდეთ საქმისა, გაიგებდით, რომ ეს, თქვენ-მიერ წოდებული „უნაყოფო შრომა“ არის საძირკველი იმ დიადის შენობისა, რომელზედაც, ამ ლექსიკონის დასრულების შემდეგ, უნდა აიგოს ყოვლად სრულის ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა-შემუშავება. დამიმტკიცეთ, რომ ჩვენს დღევანდელს ყოფაში, ჩვენის ლექსიკოგრაფიის დღევანდელს მდგომარეობაში, რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის (და არა ნემეცურ-ქართულის ანუ ფრანგულ ქართულისა, რადგანაც არც ნემეცური, და არც ფრანგული ენა ისე გავრცელებული არ არის ჩვენში, როგორც რუსული) გარეთაც დიახაც რომ ადვილ-შესაძლებელია ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა-გამოცემა, დამიმტკიცეთ პირუთვნელად და არა მიდგომილებით შეპყრობილმა, და მე დაუყოვნებლივ ხელს ავიღებ ჩემს ოცის წლის შრომაზედა. ხოლო, რადგანაც თქვენ ამას თავის დღეში ვერ დამიმტკიცებთ, რათ უშლით კაცს საქმესა, რათა ჰშლით საზოგადოებას მის წინააღმდეგ? რა ბევრი მუშაკი ჩვენა გვყავს მწიგნობრობისა და გამომცემელს ასპარეზზედა, რომ სწორედ ზედ მისასწრებელს საქმესა ძირს უთხრით!? უვიცობა და ცოდნის შეძენის უსაშველ-ღონობა, აი მთავარი მიზეზი ჩვენის დქვეითებისა და განვითარების ერთს წერტილზედ გაჩერებისა!.. ენციკლოპედიური ლექსიკონი უკეთესთაგანი იარაღია ამ უვიცობის აღმოფხვრისა და ხალხის განვითარების შეუჩერებლად წინ სვლისა, და რად ელობებით წინ ამ უებარის საშუალების განხორციელებას, თუ თქვენ უანგარო მოსამსახურე ხართ იმ საზოგადოებისა, რომელსაც ასეთის გულის-მტკივნეულობით უძღვნით თქვენს წერილებსა ჩემის ლექსიკონის შესახებ!?

განსვენებულმა დ. ჩუბინაშვილმა თავისის ლექსიკონების შედგენითა და გამოცემით მოგვცა ჩვენ საშუალება სამშობლო ენა არ დაგვევიწყა და, რამდენადაც კი შესაძლებელია ენის შესწავლა თვით-შესწავლითა, გვასწავლის კიდეცა მას, მაგრამ ეს როდი კმარა? როდი კმარა ვიცოდე, რომ Абрикосъ არის გარგარი, რითაც კმაყოფილდება ჩუბინაშვილის ლექსიკონი; მასთან საჭიროა ვიცოდე, რა ხეხილია ეს მცენარე, რა ადგილის და ჰავის შემთვისებელია, როგორ ამრავლებენ მას და სხვ. როდი კმარა ვიცოდე, რომ მუცლის მოწყვეტა არის выкидышъ ребенка, მასთან საჭიროა საშუალება მქონდეს — რაიმე დასკვნილი აზრი შევიტყო მეცნიერებისა ამ მოვლენის შესახებ, ე. ი. უფრო რა დროს ემართება ეს ორსულს ქალს, რა მიზეზები ხელს უწყობენ მუცლის მოწყვეტასა, რა და რა მომასწავებელი ნიშნები აქვს ამასა და სხვ. აი ასეთი ლექსიკონი, ანუ როგორც ჩვენ ვუწოდეთ „სალარო ცოდნისა“ გვაკლდა ქართველებსა; მე შევუდექი მის შედგენასა, შემუშავებასა, გამოცემასა და ხელის შეწყობის მაგივრათ ყოველის თქვენზე და საზოგადოთ ბეჭდურს სიტყვაზე დამოკიდებულ საშუალებითა, თქვენ გამოდიხართ და ქართველს საზოგადოებას ამხედრებთ ჩემის შრომის წინააღმდეგ, დაურიდებლათ აგონებთ — ეგ უნაყოფო შრომააო და მთავარ საფუძვლად ამისა მოგყავთ ისა, რომ იგი რუსულ-ქართულია, თითქოს სანთლით საძებარი იყოს ჩვენში რუსულის მცოდნე ქართველი!..

რადგანაც ამ საკითხის შესახებ საქმე ცოტა არ იყოს გამწვავდა, მოვიყვან ორიოდე ადგილსა მის შესახებ ერთის პროვინციელის წერილიდან, რომელიც მე ამ დღეებში მივიღე: „ნეტა მიზნად რა აქვს — იწერება პროვინციელი — ნახატებიან ჟურნალ „კვალს“, რომ ეგრე დაჟინებით გადაგკიდებია და გაიძახის, რომ სულ ქართულად დააწყოს სიტყვებიო, რადგან რუსულის უცოდინარისთვის შეუძლებელი იქნება ამ ლექსიკონის ხმარებაო. ეგ ლექსიკონი იმათთვის არ არის საჭირო, ვინც რუსული არ იცის, არამედ იმათთვის არის საჭირო, ვინც რუსული იცის, ძნელი რამ გასაგები სიტყვა რომ შეხვდება, აი იმ სიტყვის ასახსნელ-გასაგებად არის საჭირო ეგ ლექსიკონი. ვინც რუსული არ იცის, ისინი კაი-კაი საკითხავ წიგნებ-გაზეთებსაც არა კითხულობენ და ლექსიკონს წაიკითხავენ?! რუსულის არა მცოდნენი განა იყიდიან მაგ ლექსიკონს?! თუ ეგრე ქენი და მაგათი ჟინი აასრულე, მაშინ კიდევ ნასწავლებისთვის იქნება ეგ ლექსიკონი გამოუსადეგარი: ვთქოთ, რუსულ წიგნს ვკითხულობ და გაუგებარი სიტყვა შემხვდა, იმის გასაგებად „კვალის“ რედაქციაში გავიქცე?! საკვირველია ღმერთმანი, რომ კაცი სხვის თვალში ბეწვს-კი ჰხედავს, და თავისაში-კი ძელსაც ვერა! ჟურნალი უფრო უსწავლელისთვის არ არის საჭირო, რომ „კვალი“ ისე არას დასწერს, რომ ფრანგულ-ნემეცური არა გაურიოს-რა. რუსულ სიტყვას ლექსიკონში მეზობელს მაინც წავაკითხებ, თუ მეთვით არ ვიცი რუსული და ისევ გავიგებ, და ფრანგულ-ნემეცური ვილასგან გავიგო?! განა ასეთი გაუკებრობაც გინახავს, რომ გაიძახიან, რუსულ სიტყვებიანი ლექსიკონი არავისთვის გამოსადეგი არ იქნებაო!.. ჟინს თავი დაანებონ და დაფიქრდნენ... შეცდომებზე და სხვის მოწვევაზე რომ გეუბნებია, არც ეს არის მართალი: შეცდომა კაცთან შობილია, ვერავინ ვერ გადურჩება; სხვების მოწვევა კიდევ ძნელია და მოუხერხებელი, რასაც მოახერხებ, ხომ შენც არ დაიზარებ. ხეს უთხრეს: „სოფელი მოდის შენს მოსაჭრელადო“. ხემ უთხრა: „ერთი კაცისა მეშინიან, სოფლისა არაო: სოფელი სხვა-და სხვა ფიქრს გაჰყვება და მუქარის ვერ შეასრულებს და ერთი კეცი-კი შეიძლებსო“. აი პირუთვნელი მსჯელობა პროვინციელისა.

(დასასრული იქნება)

*) ვბეჭდავთ ყოვლად შეუცვლელად და შეუმოკლებლად. რედ.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო წიგნაკი: „სადღეგრძელო“, გამოცემული „გლეხის“ ამხანაგობის მიერ. წიგნაკში მოთავსებულია გრ. ორბელიანის ლექსი „სადღეგრძელო“, მამია გურიელის „ალავერდი“, ი. კერესელიძეს „ალავერდი“-ვე და რუსიმერელის „იახშიოლ“. წიგნაკი ღირს ერთი შაური.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(შემდეგი *)

წარსულის საუკუნის დამდეგი იმდენად უკუღმართი დრო არ იყო, რამდენადაც იგი გააუკუღმართეს ქართლის მეფეებმა. თუ ქართველს მეფეებს ჰქონდათ ერთი ბეწო გამჭრიახობა და წინდახედულობა, დიდს სარგებლობას მოუტანდნენ ქვეყანასა და დიდს მუდდროებასა და წარმატებას მიანიჭებდნენ სამშობლოს.

მაშინ ყაენის ტახტზედ იჯდა მაჰმადი, რომელსაც, როგორც სამართლიანად ამბობს გურამიშვილი, „შეუყვარებოდა ღოთობა, მეძაობანი და მით დაჰხბნეოდა, წართმეოდა თავისი ჭკვა და ცნობანი“. ეს სუსტი და მხდალი ხელმწიფე ქართლის საქმეებში აღარ ერეოდა, რადგან მეფე ვახტანგის ერთგულება სჯეროდა. გარნა ვახტანგმა ვერ გამოიყენა თვისი ყოფა. ყაენს რომ აუჯანყდნენ ავღანნი და წაედაგნენ ერთის მხრივ ოსმალნი და მეორეს მხრით პეტრე დიდი, ჩვენი მეფე ამ უკანასკნელს მიემხრო, თუმცა-და მისი ვაზირნი ამის მოწინააღმდეგნი იყვნენ და ტიროდენ, ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დასუება! ვერ მოგვიხდების გარგათა ამდენი წუვეტა, ტმასნება; მესამე კიდევ მოიბა (მეფემ), ორი საბელი (ოსმალისა და სპარსის) თავსება; სამი ვეშაპი (იგულისხმება სპარსეთი, ოსმალეთი და რუსეთი) ერთს ღამსა აწ ვითარ მოეთავსება“!

ვახტანგმა არავის უსმინა, თუმცა გაგებული კაცები სჩრახავდნენ და იტყოდნენ:

„სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა! ყაენის სპასალარია, რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა! ჩვენ ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი: რა სამთავ ცეცხ შეექმნასთ,

*) იხ. „ივერია“ № 122

ჩვენზედ მათ შექმნან ონარი, ვარს მოგვეშოროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსათვონარი და ვიქმნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი"!

ეს წინასწარმეტყველება მალე აღსრულდა. გაუწყრნენ მეფეს პეტრე დიდის დაუძინებელნი მტერნი, ყაენიცა და ხონთქარიც. ოსმალთა დიდი ჯარი შემოვიდა ქართლ-კახეთში. ვახტანგი აიყარა დედაწულითა და დიდკაცობით (1500 მდე სული გაიყოლია) და გადასახლდა რუსეთს. „ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა, ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სურდა", გარნა ეს ხელმწიფე ვახტანგის საუბედუროდ, გარდაცვლილიყო მისის რუსეთს მიწევნამდე. ვახტანგს გაუცრუვდა იმედები და ითთოხაც დაიღუპა და საქართველოსაც გამოაკლო მოთავე კაცები, „მაღალნი ქვეყნისანი". ამისა გამო ჩვენი ქვეყანა უპატრონოდ დარჩა.

„წაღმა ბრუნავმა დრო ყამმაო, ამბობს დ. გურამიშვილი, უკუღმა შექმნა ტრიალი: ფრთა მოჭრა ქართლსა, კახეთსა, შეაქნევინა სრტიალი; მამლები ტურამ დაჭამა, დედლები დარჩა ტიალი, მიდგა უკაჲ და ყორანი, დააწყებინა წკრტიალი! მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა, სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოურჩა წამლადა; დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდნენ მამლადა, აღარავინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა"!.

(შემდეგი იქნება)

## მცირე შენიშვნა

როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, შარშან მაისში სოფ. მეველ-ისენაკში დაარსდა სამეგრელოს „შუამავალი ამხანაგობა", რომლის უმთავრესი დანიშნულება ის იყო, რომ აბრეშუმის პარკისა და სხვის ვაჭრობაში მეტოქეობა გაეწია ბერძენ-ურია-სომხებისათვის, რომლებიც მცირე ფასად იგდებდნენ წვადაგვით ნაშრომს ნაოფლარს. მას აქეთ ავერ წელიწადზედ მეტია, რაც ეს „ამხანაგობა დაარსდა, მაგრამ არაფერი ვიცით, არსებობს და მოქმედებს იგი თუ არა? რა მიზეზია „ამხანაგობის" ამდენის ხნის სიჩუმისა, ვერ გაგვიგია? ვაი თუ გამგეს უთავობაა ყოველივე ესე? ჰყიდულობს წელს „ამხანაგობა" აბრეშუმის პარკს, თუ არა? თუ ჰყიდულობს, სად არის, რადგანაც სოფლებში ჩარჩები უშიშრად დანავარდობენ და ჰყიდულობენ ისე, როგორც იმათი სურვილია. ვსთხოვთ „ამხანაგობის" გამგეს, გამოაცხადოს: არსებობს ეს „შუამავალი"-ს ამხანაგობა, თუ საუკუნოდ განისვენა?

ტელეფონი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ივნისი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო სისხლის სამართლის დებულების პროექტის განსახილველად, ვიდრე იგი სახელმწიფო საბჭოში იქმნება წარდგენილი, დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული კომისია სახელმწიფო საბჭოს სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის სტატს-სეკრეტარის ფრიშას თავმჯდომარეობით.

**მადრიდი.** მთავრობის მიერ მიღებული დეპეშა იუწყება: „50 ამერიკის გემი ჯარით სანტ-იაგოს მოუახლოვდა, ესპანელთ ზღვის სანაპიროები უჭირავთ".

**ლონდონი.** 9 ივნისს ბლეკოჟილში ჩაშვებულ იქმნა ზღვაში გემი „ალბიონი" იორკის ჰერცოგისა და მის მეულის თანასწრებით. გემი წყალში ჩაშვებისათანავე ძირ-ძირ წავიდა და ზღვის ტალღამ შთანთქა. წყალმა 300 კაცი მოიტაცა. სალამოთი 30 დამრჩვალ კაცის გვამი იპოვნეს. ამბობენ, რომ 60 კაცამდის დაიღუპა ზღვაშიო.

**ნიუ-იორკი.** დეპეშა ამართლებს იმ ხმას, რომ გენერალ შაფტერის გემები სანტ-იაგოსთან მივიდნენო. დრო და ჯარის გადასასხმელი ადგილი ჯერ არ ამოურჩევიათ. 15,000 ჯარის-კაცამდის მიიყვანეს გემებით.

**პარიჟი.** ლუბესთანა და დეშანელთან მოლაპარაკების შემდეგ ფორმა გადასწყვიტა ეცადოს, რომ ერთობისა და მშვიდობის მოყვარე სამინისტრო იქმნას დაარსებული. ფორმა კაბინეტის შედგენა პეიტრალს მიანდო. პეიტრალი საქმის გადადებას თხოულობს ხვალამდის.

**ლონდონი.** შაფტერი და სამპსონი 8 ივნისს შეხვდნენ ერთმანეთს და ხმელეთზედ გადავიდნენ სანტ-იაგოდგან 17 მილის მანძილზედ. გაიარეს ერთი მილი და წინ შეხვდნენ გარსიას, რომელსაც თან 3,000 ჯარის-კაცი ჰყავდა. დაიწყეს მოლაპარაკება, რომელმაც რამდენსამე საათს გასტანა. მთლად ჯარის ხმელეთზედ გადაყვანის საქმეს ორი-სამი დღის შემდე შეუდგებიან.

## წერილი რედაქციის მიმართ

12 თებერვალს ყარსის სამოქალაქო კლუბის დარბაზში გამართული იყო ქართული წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. ამავე საზოგადოების სასარგებლოდ გვინდოდა სალამოს გამართვა მაისში, იმ დღეს, რა დღესაც ქართველი საზოგადოება გადასწყვეტდა თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის დღესასწაულს, და ორსავე შემთხვევაში შეკრებილის ფულის დანიშნულებისამებრ გამოგზავნა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იუბილეი გადაიდო და ჩვენც, ამის წყალობით, ველარც სალამო გავმართეთ, ველარც წარმოდგენიდგან შემოსული ფული და ანგარიში წარმოვადგინეთ თავისს დროზედ. ეხლა გიგზავნით 163 მან. 9 კაპ. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის" გარდასაცემად ანგარიშის „ივერია"-ში დასაბეჭდად.

ბილეთებიდგან შემოვიდა 215 მან., ფულად შემოსწირეს: ს. ბაღდასაროვმა, ალ. ალექსანდროვმა და ასლანოვმა—ორ-ორი მანეთი, ესაულმა თ. რაკუზამ, დომინიკოვმა, ალ. ჩალთიკოვმა, ჯუღუროვმა, იაგჯოღლოვმა და კონდახჩევმა—თითო მანეთი, სულ შემოვიდა—227 მ. აქედგან დაიხარჯა: დარბაზის ქირა—25 მ., სტამბას ბილეთებისა და აფიშების დასაბეჭდი—8 მან. 80 კ., მეზურნეებს—10 მან., მუსიკას—15 მან., პარიკმახერს—3 მ., წვრილმანი ხარჯი—2 მ. 11 კ., სულ 63 მან. 91 კაპ., წმინდა შემოსავალი დარჩა 163 მ. 9 კ.*)

დასასრულ უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ როგორც წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ, ისე ფულით შემომწირველთ და ყარსის საზოგადოებას, რომელიც ყოველ ქართულ სალამოსა და წარმოდგენას თავისს ყურადღებას და თანაგრძნობას არ აკლებს.

მარიამ კიკნაძისა
ერეკლე ბაქრაძე

*) ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდავეცით. რედ.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

აქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | › |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | | 20 |
| წყარო წიგნი II მისივე . | „ | 50 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | › | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი . . . . . . | „ | 40 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ **10 ივნისიდგან**, ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილ და ტფილისის გუბერნატორისაგან გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, ყოველ ქალაქის საყასბოდგან გამოსულ ხორცს და სანოვაგეს განსაკუთრებული ბეჭედი და დამღა ექმნება დასმული, რითაც ცხადი იქმნება ის, რომ ბეჭედ და დაღ-დაკრული სანოვაგე შემოწმებულია სასანიტარო ბეითალთა მიერ.

დადგენილი ნიშნები ამგვარის სახისაა:

1) მსხვილ-ფეხა საქონლის ხორცს (კამბეჩის ხორცს გარდა) დაკრული ექმნება მოგრძო რგოლის მსგავსი დამღა, შუაში მოთავსებული ექმნება სამი ასო: „**Т. Г. Б.**" და თვის რიცხვი, დამღა იის ფერისა იქმნება.

2) წვრილ-ფეხა საქონლის ხორცს (ცხვრისას, ბატკნისას, თხისას და ხბოსას) ასეთივე პატარა სახის იის ფერი დამღა ექმნება.

3) კამბეჩის ხორცს—საგანგებო ოთხ-კუთხიანი დამღა სამის ასოთი: **Т. Г. Б.**" და წარწერით „**буйволъ**" (კამბეჩი). გასარჩევად დამღა მწვანე ფერისა იქმნება.

4) ღორის ხორცს ამომწვარი ექმნება სამი ასო „**Т. Г. Б.**"

5) ამას გარდა, შინაგან საქმეთა მინისტრის 1897 წლის 13 ოქტომბრის მე-517-№-რის განკარგულების თანახმად საყასბოდგან გასასყიდად გამოტანილ იქმნება ზოგიერთი სუბუქად დაშავებული ხორცი, რომელიც კარგად მოხარშვისა და მოხრაკვის შემდეგ გამოსაყენებელი იქნება საჭმელად. ამგვარ სანოვაგეს შესაფერი ნიშანი ექმნება დაკრული, სახელდობრ: ა) ღორთველ ით სუბუქად დაავადებულს ღორის ხორცს ამომწვარი ექმნება სამი ასო „**Т. Г. Б.**" და ეწერება: „**финны**", ბ) სუბუქად დაავადებულ მსხვილ ფეხა და წვრილ-ფეხა საქონლის ხორცს—იის ფერი დამღა ექმნება დაკრული, დამღაში მოთავსებული იქმნება სამი ასო „**Т. Г. Б.** და ზედ ეწერება: „**финны**". (2—6.—1).

# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ივნისისათვის 1898 წლისა.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. საზოგადოების კასსა . . . . . . . . . . | | 9076 | 62 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . . . . | | 4091 | 30 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ." საბანკო კანტორაში . . . . . . . . . . | | 47744 | 78 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . . | | 2317 | 25 |
| V. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . . | | 173644 | — |
| VI. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . | 1561— 50 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 9299— 20 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . . | 8469— — | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 3952— 73 | 23282 | 43 |
| VII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . | | 181 | 97 |
| VIII. მოწყობა-მომართვა . . . . . . . | | 885 | 17 |
| IX. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | | 13 | 02 |
| X. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . | | 360 | 02 |
| XI. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . | | 4666 | 40 |
| XII. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . | | 680 | — |
| XIII. სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღალდების სარგებელი . . . . . . . . . . | | 11 | 16 |
| ს უ ლ | | 266954 | 12 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 619 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . | | 67821 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). . | | 2403 | 19 |
| III. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . | 89167—57 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . | 80600—— | | |
| გ) უვადოდ . . . . . . . . | 500—— | 170267 | 57 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | | 1967 | 50 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . | | 115 | — |
| VI. გადაგირავება თამასუქებისა. . . . . . | | 16600 | — |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . | | 13 | 75 |
| VIII. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . . | | 7266 | 11 |
| IX. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . | | 500 | — |
| ს უ ლ | | 266954 | 12 |
| პასუხის-მგებლობა 619 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | | 610389 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . | | 6900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | | 950 | — |

(1—6.—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 11-го Іюня 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.